

## საკრედიტო კავშირის მიზანია:

საქართველოში ხელი შეუწყოს საკრედიტო საქმიანობის ახლებური კულტურის დანერგვას, რაც გულისხმობს:

- მსესხებელს, რომელსაც კარგდ აქვს გაცნობიერებული სესხის დანიშნულება,
- მეანაბრეს, რომლის სოლიდარობის საფუძველიც საზოგადოებრივი სარგებელია,
- ეკოლოგიურად, სოციალურად და კულტურულად გამართლებული პროექტების დაფინანსებას,
- გამჭვირვალე საქმიანობას, დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას,
- დაბალპროცენტიანი სესხების გაცემით, ინდივიდისა და ამავდროულად საზოგადოების კეთილდღეობისთვის ზრუნვას,
- მაღალხარისხიან მომსახურებას.

### **EthicCapital** Credit Union

ვაჟა-ფშაველას VII კვარტალი,  
XVIII კორპუსი, II სადარბაზო, I სართული  
0183 თბილისი

ტელ: (+995) 32 2 30 43 69  
ელ-ფოსტა: [info@ethiccapital.eu](mailto:info@ethiccapital.eu)  
[www.ethiccapital.eu](http://www.ethiccapital.eu)

## EthicCapital

საკრედიტო კავშირი

ინოვაციური, გამჭვირვალე, სამართლიანი



*იაფი კრედიტი  
საზოგადოებრივად  
სასარგებლო საქმიანობისთვის*

## EthicCapital-ი

არის საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატივი, რომელიც გასცემს დაბალპროცენტულ სესხს, მხოლოდ მის წევრებზე.

კოოპერატივის წევრობა ავტომატურად მის თანამფლობელობას ნიშნავს და წევრს ანიჭებს უფლებას - მონაწილეობა მიიღოს კავშირის მართვაში და ამავდროულად ავალდებულებს, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, იზრუნოს მის გამართულ ფუნქციონირებაზე.

საკრედიტო კავშირის ძირითადი საქმიანობაა: გასცეს სესხები და მიიღოს ანაზრები.

### ჩვენი ძირითადი ღირებულებებია:

- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა,
- სოლიდარობა,
- გამჭვირვალე საქმიანობა,
- მაღალი ხარისხის მომსახურება.

**გახდი EthicCapital-ის წევრი!**

## სესხი

დაბალპროცენტული სესხი გაიცემა მხოლოდ გრძელვადიან სარგებელზე ორიენტირებულ, საზოგადოებრივად სასარგებლო პროექტებზე, რომლებიც მდგრად განვითარებას უზრუნველყოფენ.

### თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ჩვენი მსესხებელი:

თუ თქვენი საქმიანობა უკავშირდება მაგ.:

- ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობას,
- ეკოლოგიურ წარმოებას, მდგრად განვითარებას,
- სოციალურ სფეროს,
- ალტერნატიულ ენერჯიას,
- განათლებასა და კულტურას.

თუ გსურთ და იცით, როგორ მოუტანოთ საკუთარ თავს და ამავდროულად საზოგადოებას სარგებელი.

## ანაზარი

**EthicCapital-ის** მეანაზრის სარგებელი, უფრო მეტად, საზოგადოებრივ სარგებელს წარმოადგენს.

### გახდით ჩვენი მეანაზრე

თუ გსურთ:

- თქვენი დანაზოგი შეინახოთ და ამავდროულად გააკეთოთ კეთილი საქმე,
- შესაძლებლობა მისცეთ გამრჯე, ინიციატივიან ადამიანებს, განახორციელონ მათი საერთო კეთილდღეობისათვის მიმართული აქტივობა,
- რეგულარულად იყოთ ინფორმირებული დაფინანსებული პროექტების შესახებ,
- საქართველოში ხელი შეუწყოთ საზოგადოებრივად სასარგებლო, სამართლიან საკრედიტო საქმიანობას, რომელიც ერთნაირად უფრთხილდება გარემოს და ადამიანს. სურს, იყოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გარანტი.

**გახდი EthicCapital-ის მეანაზრე!**